

შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო
უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება № 01-01/22

თბილისი

“ 15 “ მარტი 2019 წ.

აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის, შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის წესდების მე-9, შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის, მოწვეული სპეციალისტისა და მასწავლებლის არჩევის წესის 2 მუხლის, 1 პუნქტის, საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის გამგის წარდგინებისა და საჯარო სამართლის კათედრის გამგის წარდგინების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2019 წლის 15 მარტს გამოცხადდეს ღია კონკურსი შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობის ასოცირებული პროფესორის 4 (ოთხი) წლის ვადით დასაკავებლად.
2. კონკურსის მონაწილეების საბუთების მიღება იწარმოოს 2019 წლის 15 აპრილიდან 2019 წლის 25 აპრილის ჩათვლით. ყოველდღიურად შაბათ-კვირის გარდა 10 საათიდან 16 საათამდე. კონკურსი ჩატარდება 2019 წლის 14 მაისს. საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საუნივერსიტეტო სააპელაციო კომისიაში შედეგების გამოცხადებიდან 3 დღის ვადაში (15, 16, 17 მაისი) კონკურსი დასრულდეს და საბოლოო შედეგები გამოქვეყნდეს 2019 წლის 20 მაისს.
3. კონკურსის საფუძველზე უნივერსიტეტში არჩეული იქნება 5 აკადემიური პერსონალი - 5 ასოცირებული პროფესორი.

ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტი **საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრა**

მიმართულება	- სოციალური მეცნიერებები
დარგი/სპეციალობა	- ფსიქოლოგია
ასოცირებული პროფესორი	- 1 სამტატო ერთეული

სამართლის ფაკულტეტი **საჯარო სამართლის კათედრა**

მიმართულება	- სამართალი
დარგი/სპეციალობა	- საერთაშორისო სამართალი
ასოცირებული პროფესორი	- 1 სამტატო ერთეული

მიმართულება	- სამართალი
დარგი/სპეციალობა	- სისხლის სამართალი
ასოცირებული პროფესორი	- 1 სამტატო ერთეული

მიმართულება	- სამართალი
დარგი/სპეციალობა	- საჯარო სამართალი
ასოცირებული პროფესორი	- 2 სამტატო ერთეული

ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებად კონკურსში მონაწილეობისათვის აუცილებელია:

- დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
- სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება;
- მოტივაცია, დასაბუთება ასოცირებული პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად (1-2 გვერდზე, Sylfaen – 12, 1,5 ინტერვალით);
- იმ სასწავლო კურსების ხედვა, რომლის წაკითხვის სურვილიც აქვს კონკურსანტს აკადემიური თანამდებობის დაკავების შემთხვევაში; საგანმანათლებლო პროგრამისა და სილაბუსის შემუშავების პრაქტიკული გამოცდილება;
- ბოლო 10 წელიწადში გამოქვეყნებულ ნაშრომთა სია.

არსებობის შემთხვევაში კონკურსანტმა შეიძლება წარმოადგინოს:

- ბოლო სამი წლის განმავლობაში საგრანტო პროექტებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- უცხო ენების ფლობის დამადასტურებელი სერტიფიკატი.

4. ყველა კონკურსანტი ვალდებულია წარმოადგინოს:
 - განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ;
 - ავტობიოგრაფია (CV)
 - საქართველოს მოქალაქეობის პირადობის მოწმობის ასლი;
 - ორი ფერადი ფოტოსურათი ზომით (3X4)
 - ცნობა სამსახურიდან შრომის სტაჟის ან ამონაწერი შრომის წიგნაკიდან

5. მამაკაცებმა 27 წლამდე უნდა წარმოადგინონ სამხედრო ბილეთის ან მიწერის მოწმობის ასლი.

6. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს აღნიშნული ბრძანების გამოქვეყნება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, ასევე უნივერსიტეტში თვალსაჩინო ადგილას და საქართველოს პერიოდულ პრესაში.

7. დაევალოს ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს ბრძანება გააცნოს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.

რექტორი

გიორგი მათიაშვილი